ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის 2025 წლის ანგარიში

ბავშვთა გეგმიური პროფილაქტიკური აცრების პროგრამით ჩატარდა 281 აცრა . იმუნიზაციის კვირეულთან დაკავშირებით, ასევე გრიპის საწინააღმდეგო და ზოგადად აცრების თემაზე ჩატარდა საინფორმაციო-საგანმანათლებლო ლექცია-საუბრები მუნიციპალიტეტის საჯარო საჯარო სკოლებში-18, ბაღში-1. ჩატარდა გეგმიური მონიტორინგი სამედიცინო და საგანმანათლებლო სასკოლო და სკოლამდელ დაწესებულებებში-34. გაკეთდა 449 აცრა ანტირაბიული ვაქცინით 171 პაციენტზე და გაიხარჯა 141 ფლაკონი იმუნოგლობულინი 55 პაციენტზე. შესწავლილ იქნა ცოფზე საეჭვო ცხოველისგან დაზიანების 8 შემთხვევა, ცოფის დიაგნოზი არცერთ შემთხვევაში არ დადასტურდა. გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია დაიწყო 10 ოქტომბერს და აიცრა 298 მოქალაქე, მ.შ. ბავშვებიც.

2025 წელს ც“ ჰეპატიტის, შიდსისა და ტუბერკულოზზე მოსახლეობის სკრინინგის პროგრამით გამოკვლეულია 884 მოქალაქე. მათგან არცერთი არ არის დადებითი. მიდევნების პროგრამით 1 პირს ჩავუტარეთ კონფირმაციული კვლევა და ჩაერთო მკურნალობაში.

5 სექტემბერს ჩატარდა ქალბატონების გამოკვლევა „ძუძუს კიბოს“ სკრინინგის ფარგლებში დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის მიერ ჩვენი მხარდაჭერით (მოსახლეობის ინფორმირება). კვლევა ჩაატარა ქ. თბილისის ეროვნულმა სკრინინგ ცენტრმა. გამოკვლეულ იქნა მამოგრაფის მიერ 57 ქალბატონი, გაკეთდა 30 კვლევა ცე და ბე ჰეპატიტზე.